

1936



# ՀԱՅՈԹԱՐԴՅՈՒՆ



1936.

Հ5



ପ୍ରକାଶନୀ ପ୍ରକାଶନୀ ପ୍ରକାଶନୀ ପ୍ରକାଶନୀ

## „ଓଡ଼ିଆରେ କଥା“

ଶ୍ରୀ. ପ.ଏ.କ.କ. ଓହାରେ ଏହା କାହିଁ କାମ କରିବାକୁ  
ଆଜି ମନୋତଥିରେ କାହାରେ କାହାରେ

ସାହୁ, କ୍ର. କ୍ର. (୮) ଗ୍ର. କ୍ର-୧୯ ପାତ୍ର, "ଜନେଶ୍ୱରନାଥ" ।  
ଲ୍ରେଙ୍ଗାର୍ପିଳି ମିଶାମିନିଟ୍: ଗ୍ରିନ୍ଡୋଲ୍ରୋଗ୍ରେଣ୍ଡ କ୍ର. ନଂ ୩୪,  
୭୦୩, ନଂ-୩-୦୨-୬୧

30529660

1. საზოისო—მაყვალა მრევლიშვილისა	1
2. გართობა ქალაქ გარეთ (ლექსი) — გორგი კავახიძისა	3
3. მუსტაფას ვირი (თურქული ამბევი) — ი. გრიშაშვილისა	4
4. პატარა ბლანერისტები — გ. ჭანიშვილისა	5
5. ხელით დაქერილი არწივი — შ. თაბუკაშვილისა	8
6. მეოლობელი შავეს სიჩივარი — ბორის ჩხეიძისა	9
7. წერილი ბაბუასაღი (ლექსი) — იჩ. აბაშიძისა	12
8. უკეუურ ცოლქმარი — იასონ ნიკოლაიშვილისა	12
9. გაზაფხული (ლექსი) — ალექსანდრ ლობჯანიძისა	13
10. გზგული (ლექსი) — სანდრო ელენტისა	14
11. მოლაპარაკ ლითონის აღაშიანი — ალ. კოჩილავაშვილისა	14

三九六九六〇〇九〇

12. კიურებშე—კლ. თევზაბისა . . . . .	16
13. რა ცხოვლის (გმირება) —ალ. ხანინოვლისა . . . . .	16

ପ୍ରକାଶନା ପାଠ୍ୟଗୀର୍ଦ୍ଦିତା

14. ს. კრაჭულინდელი - „ინდიანა“ . . . . . გარეკანის 3  
 15. პირველი მისი - სიტყვები ქუჩიშვილისა, მუს. თ. შავერზაშვილისა . . . . . გარეკანის 4

ଶ୍ରୀରାମଙ୍କ ପାତ୍ରକାରମ୍ଭଶୁଳ୍କା ମ୍ବ. ଏ. କୋଣ୍ଟାଶ୍ଵିଲୀଙ୍କ, ଏ. ନେପାଲିଶ୍ଵିଲୀଙ୍କ ଓ ଡା. କାନ୍ଦିନୀ ଶ୍ରୀରାମଙ୍କ

ପ୍ର/ମ୍ବ. ନୀଳାକୃତୀଙ୍କ କବିତା ଅବଧିକାରୀ



## I. የዕለጊያዊነት በፌዴራል

—დღიდ ბოდიში, ჩემო სტუმარო კრაზა  
ნავ, ძალიან ვჩქარობ და ახლა ვერ მიგი-  
ლებ, იქნებ ველარც გზახო, ამიტომ ყოვე-  
ლი შემთხვევისათვის გმშვიდობები არა-  
ფერია, ნუ სწუხარ ჩემი ჯანისათვის,  
თავს ძალიან ყოჩადად ვგრძნობ, უქცე-  
ბიც კარგად მყვანნ. გეტუობა, არაფერი  
იყი; დღეს ჩიტებმა ახალი ამბები მო-  
გებარეს; ქალაქს თურქე წითელი დრო-  
შებით რთავენ, უქრაცი სანათურებით  
ალამიზებენ. მომეცა, მომეცა, გეთაყვა,  
შეს ნუ მიჩრდილავ! პირი ისე მაგრა  
დავიბანე, რომ ცვრებით ამევსო გულ-  
შერდი.

ამ დილით ყვავილები ერთმანეთს უკ-  
ჯიბრებით, ვინ უფრო შოლამაზღვაა!  
ვიცით, როცა გოგო-პიჭები მოვლენ ჩეკნს

დასაკრეფვად, კონგბად შეგვრავენ, გვა-  
სეირნებენ და ძერე, ვინ იცის, იქნებ ნა-  
ნატრიც ამისრულდეს! ვნატრობ, ისე  
თვალწარმტაცი ვიყო, რომ წამიღონ, მო-  
ხეობე ხალხში ვიარო, ფრიაღოსნეა ბაჟ-  
შვებმა ამწიონ მაღლა-მაღლა, წემებურად  
ყელმოღერებული, და, მუსიკის გრიალ-  
ში, მათი საყვარელი წინაშძლოლის ხელ-  
ში გადამსვახა.

რას იღრიკები, დამტინი? აბა რა გე-  
ლაპარაუ, კვეყნის რა კეშმის, ზუგუნით  
დახევტები, ცა ქუდად აღარ მივაჩინია!  
ყური დამიგდე, ცოტა მოშორებით კი  
დაჯექი, კაბა არ გშისვარო. დაია ჭია-  
მაიავ, ჟენ კი მანაძღვ აშ არშის ერთი  
კიდევ გადაურბინე - დამიუთოვე, თორებ  
ამ უცხვმა ქარაზანაშ ფრთია გამჭრა და თით-  
ქოს და უმუშვნილია.

## II. გრაფიკული მასივების თავზეალისაცვალი

## ԿԵՎԵՐԻԿ, ԿԱՆԱԴԱ ԹՐՈՒՅՈՒՆ

კარგანის წინათ ამ უბანში ჩემი მა-  
მიდა ცხოვრობდა, ძალიან ლამაზი და  
თახა ა ამაყი ყოფილა. ერთხელ ძლიერი  
ხენაქარი მოკარღნილა და ყველასათვის  
უბრძანებია: თავი მომიხარეოთ. ბალა-  
ბულახი დაემორჩილა, წაწვენ, თაყვანი  
სცეს, ჩემი მამიდა კი ყოჩადა, წერშიგ-  
ძორული ბეგარა. — დამაცად შენაო! —  
ქარს ეთქვა, მაშინ ვერაფერი დაეკლო

და იმისი შეიღები, პარაუა თესლი, გაუტაცნა და ცხრა მთას იქით გადაეკარგა, სადღარ მატარებლის კარის ჭურავებისა ში ჩაეტენა. მატარებელმა კი თურმე დედაქალაქისაკენ გააძინა (ხომ გაიგონია, რა დიდი ქალაქია!). გააძინა და საღვურში მიიტანა. იქ ქალებს დაუგვიათ, დაუწერდიათ მატარებელი. მამიდინაშის ნაშეცყალა თესლი დამლაგებლის წინსაფრის ჯიბეში ჩაიგრძნილა. ძობს სახოში. არ-

მეღამოს ბაღთან გაუბერტუია წინასაფარი. თესლი მიწაზე დავარდნილა, ბუქებში ჩამოლულა და გაყუჯულა. ვინ შეამჩნევ-და! იქვე სხვა ყვავილები დაპატიჟდრია, წყალი და მიწა სიხარულით გაუზიარე-ბიათ.

გაზაფხულზე ამისულა, გაშლილა, მნა-  
ხევლს თვალსა სტაცებდა. ერთხელ, თურ-  
მე, სხვა ყვავილებთან, ერთიმეორებზე უფ-  
რო ლაპაზებთან, დიდ თაგვულში შეკ-  
რეს, მძიარულ ქუჩებში არარეს და მეტე  
ერთმა პატარამ, წითელყელსახვევიანმა  
პიონერმა, ეს თაგვალი ყველაზე კარგ  
ადამიანს, თურმე მთელ ქუცხაზე უკე-  
თეს ადამიანს მიართავა. იმის კი ბავშვს თვა-  
ზე აკოცა და ღიმილით დახედა ყვავი-  
ლებს.

### III. ჩვენი უროგანეს ფინიცი ქალაქიდან

გაისინ პირების. ჩვენამარაგი

ჩემი საყვარელო დედამიწაზ, ერთგულო ქიამაიავ, აბეზარო კრაზანავ, დობილებო და ძმობილებო!

ვეღორც კი გამოგემშვიდობეთ, ისე  
უცებ გამომაქანეს. ახლა, კარგად ნამ-  
გზავრი, ყაყიჩოსფერი აბრეშუმებით მორ-  
თულ აეტონე ვზივიარ, სხვა ყვავილებთან

ა ხლა ხო? გვემის, მეც შემიღლოვ უკუტურა  
ნებო ასეთ ბედზე, ასეთ მოგზაური ჩაწერ.

მწვანე ჭიათ, სად მოგაქვს ეგ ტალახია-  
ნი ფეხები, ახლო არ მომეკარო! ქსეც  
ფრიჩული აჲყვა, გაიგო, რომ საჲემოდ  
ვეგზადებით, და ხან ერთის ფოთლებში  
იძალება, ხან მეორისაში: ეგებ ვერ შე-  
მამჩნიონ და ქალაქისაკენ ვიგზაურო ჩუ-  
მადო. პე, რამდენი მეოცნებეა ამ ქვეუ-  
ნაზე!

აბა ახლა ყველანი მომეცალეთ, უნდა  
გავიშჩორო, თორებ ცოტა ტანმორჩილი  
ვარ, იმ თეთრ ბატყანს გუშინ მუხლამდის  
კაწვდებოდა. გავიქმო, თორებ ბატყებ-  
მა თუ ვერ შემამჩნიეს, კეკლუცობა ფუ-  
ჭიდ ჩამივლის.

յշրտած միջանց ԾռՄը՛՛ հայնուղու, յրտ  
լուման և սպառաւ զարկուցած դա զավաշը-  
նեցն. ամ Ելքուղև նուց զարյան. Տափաղմա-  
ժողով մոմեցն ամ յրուամշուղն. ածլու ուսուց-  
ություն զուգունդուցն ամ մոյցուուցն. Տափա-  
ղմա զարյան ամ յրուամշուղն. ամ մոյցուուցն.



რა არ ვნახე, რა არ მოვისმინე! ისეთი  
მუსიკაა, ვიბნილები!

ქუჩებში დიდი ქრიამულია, აუარებე-  
ლი დროშა! მორთულ ხალხს თაგვულე-  
ბი უქირავს. იმდენი არიან, რომ სულ  
თვალი მიქრელდება... დაუსრულებლად  
მიდიან და მიღიან. ყველანი სიყვარულით  
უშერეს ჩვენით მორთულ სურათს. ვამა-  
ყობ, რომ ასეთი კარგი ადამიანის სახეს-  
თან მიხურებული მეც ვიზიარებ მათ სი-  
ხარულს. ძლიან მინდა ახლო ვნახო ეს  
სურათი და ისე ძლიერ ვიმყიტები, ლა-  
მის ხელულიდან ამოვვარდე.

ჩემი მეგობრები, ოქვენც ეცადეთ ქვე-  
ყანაზე თვალი გაახილოთ, ეცადეთ თქვენს  
დასაკრეფად მოსულ ბავშვებს ხელში ჩა-  
უვარდეთ. უშესელად უნდა გამოისეირ-

ნოთ, ოლონდ შეეხვეწეთ, როცა მურა მურა დნენ,  
ფეხებიანად არ ამოვაძრონ.

არიქა, დავიძარით! ჰერი, ბიქო! შეა-  
გულ ქალაქისაკენ მივყავარო, წერას ვე-  
ლარ ვასწრებ... უკვე დიდ მოედანს ვუა-  
ლოვდებით... ვეებერთელია, კრიალი მოე-  
დანია, შეაში კი მაღალ ბაქანზე ხალხი  
ჯგუფად დგას. მათ განუწყეტლივ სალაში  
აძლევენ და ვაშას უძახიან.

აა, ერთი მათგანი სწორედ ის არის,  
ვის სურათსაც ჩვენ ვარტყივართ ვარს.  
მშეიღობით, მშეიღობით, აბა კარგად  
იყავით, ჩემი საყვარელო მეგობრები!

ყველანი მომიკითხეთ. თქვენი შრო-  
შანა.

მერე კიდევ მოგწერთ დაწვრილებით...  
გუცნით...

## გაპვალა მჩევლივვილი



დასვენება იყო იმ დღეს.  
ერთობოდა ხალხი ბევრგან:  
ცა ბრწყინავდა, და ქალაქში  
სიხარული დაინერგა.  
სიო ბაღში, თითქოს განგებ,  
აჯავრებდა მოხრილ ჭანდარს.  
ბაღს ბავშვები შევხაროდნენ,  
მაგრამ ხატო არსად ჩანდა.  
ირველივ არსად ფრიალებდა  
მისი ჩითის ქრელი კაბა,  
არც ზინ ფახქრით არ ხატადა  
ფრინველებს და ნაძვებს დაბილს,  
არც მთის ნიავს, კარგ გაზაფხულს  
არ ულებდა ბინის კარგებს:  
მეგობრებთან ერთად დილით  
წასულიყო ქალაქვარეთ.

იქ, მტკვრის ახლო, ხადაც მწყემსი  
აძოვებდა ნიშა ხარებს,  
მეგობრები უმღეროდნენ  
ამწვანებულ მინდვრის ხავერდს.  
უმღეროდნენ ლამაზ ბუჩქებს  
და ყვავილებს ნამით სოველს,  
ნაგარდობდნენ და მინდონზე  
კოხტად ბურთიც გაისროლეს.  
გაძქრეს ფეხი, არ დანდევს  
და მოქანცა ერგოთ წილად ..  
გართობა და დღე ასეთი  
გონებაში დიღხანს ბრწყინავს.  
იმ სიამში, იმ ურიამულს  
არ ივიწყებს მკვირცხლი ნატოც,  
ახლაც ხშირად, რა მოწყენს,  
ქალაქვარეთ გასვლას ნატრობს...

გიორგი ეპარები

## მასპავას 3060

(თურქული მიმავა)

ვერა პხედავთ ჩვენს მუსტაფას,  
რა მარდია, რა მხედვ არი!  
ქალაქის კენ გასასყიდად  
მიჰყავს თავის სახედარი.



უკან მისდევს თვით მუსტაფა  
და იმისი შეილიშვილი.  
გზად სოფლები ხედებათ ბევრი  
და მინდორი გადაშლილი.

ერთ სოფელს რომ მიაღწიეს,  
აყაყანდა ხალხი ხელათ:  
— „შეხეთ, ფეხით ჩინჩალებენ,  
უირი მიდის ცარილა!“



და როდესაც სოფელს გასცდნენ,  
და როდესაც მიწუდა ხალხი —  
ორივენი ვირზე შესხდნენ:  
წინ — მუსტაფა, უკან — ბალლი.

სხვა სოფელში რომ შეეიდნენ —  
ახრიალდა დიდ-პატარი:  
— „ერთ საბრალო ჭირუკაზე  
მრი ვირი შემომჯდარი!“

და მუსტაფას შერცხვა უცბათ  
ამ ხმაურზე, ამ ყვირილზე,  
შეილიშვილი ძირს ჩამოსვა,  
აიოონ შარტო დარჩია ვირზე.



ახლა კიდევ სხვა სოფელი  
ხარხარებს და აქყეტს თვალებს:  
— „პაპა ვირით მიბრძანდება,  
ბავშვი ფეხით მიჩანჩალებს!“

და მუსტაფამ მაშინათვე  
მიატოვა ვირის კები,  
შეილიშვილი ვირზე შესვა  
და თვითონ კი გაბყვა ფეხით.

აგრე კიდევ სხვა სოფელი  
დასცინის და არ ასვენებს:  
— „ბერიკაცი ფეხით დადის,  
ციცქნა ბალლი ვირს აქენებს!“



აქ მუსტაფა გავიპრაზდა,  
ძირს ჩამოსვა მყისვე ბავშვი:

„თურმე, ყველა აღამიანს  
თითო ქეუა უდევს თავში!

არ სჯობია გზა განვაგრძო  
ჩემს ქეუაზე, დინჯად, ნელადი!  
მე რომ ამათ ყური ვუგდო,  
გადამრევენ უეპელად!“ —

თქვა და სახრე მოიქნია,  
აღარ უგდო არვის ყური,  
სახედარი წინ გაიგდო,  
გზა არჩია ძეელებური.



## პავარა პრანერის გები

უპატრონო ბავშვთა კოლონიას ახალი  
წევრი შეემარა. ეს იყო დიტო, უდედპა-  
მო ბიჭუნა.

ოქტომბრელებმა გივი და პეტიონმ  
ის უპატრონო ბავშვთა კოლონიაში მი-  
იყვანეს.

ძალიან გულთბილად მიიღო დიტო კო-  
ლონიის გამგებ, დეიდა თამარმა.

— აბა, დიტო! შენ აქ უნდა იცხოვრო,  
ამ ყმაწვილებთან უნდა ისწავლო, — და  
ხელით ყმაწვილები დაანახა.

ბავშვები ინტერესით აკეირდებოდნენ  
ახალმოსულ ამხანაგს. პატარა დიტო  
შეშინებულიცით იდგა. თვალები ძირს  
შეონდა დახრილი. ხმას არ იღებდა. დეი-  
და თამარმა ის გაასეირნა და ესაუბრე-  
ბოდა მისი ვინაობის შესახებ.

დიტო დაუახლოედა ყმაწვილებს. პირ-  
ველ ხანებში ეუცხვებოდა ამ ამხანა-  
გებში ყოფნა. მოიწყინა კიდეც. ხშირად  
აგონდებოდა სოფელი, გარდაცვლილი  
დედ მამა, სოფლიდან გამოქავა და ქა-  
ლაქის ქეჩებში გატარებული რამდენი-  
მე მწარე დღე. ამხანაგებშა სულ მაღლ  
აიყოლიეს დიტო და საერთო ფერხულში  
ჩაბეს. დიტოც მაღლ დაუმეგობრდა ყმა-  
წვილებს.

მასთან ხშირად დადიოდნენ მისი პირ-  
ველი მეგობრები, რომლებმაც იგი ქუ-  
ჩის კლანებისაგან იხსნეს — პატარა ოქ-  
ტომბრელები გივი და პეტიონ.

კარგდ მეცადნეობდა, მაღლ მოწინა-  
ვე მოწყვის, ფრიადოსნის სახელი დაიმ-  
სახურა.

II

დიდი სიხარულით გარბოდა დიტო  
ბავშვთა კოლონიის სახელოსნოში და  
გულშემდებული მუშაობდა იქ შეისწავლა  
იარაღების ხმარება. ახლა კი გატაცებით  
აეფთებდა პლანერებს, თვითმეტრინავების



სამივენი ხარხარებდნენ. ათვალიერებდნენ პეტიკოს პლახერსა და ხელუაშვილებს.

— პეტიკო! წავიდეთ, დიტომ თავისი პლანერი საქალაქო შეჯიბრებაში უნდა გააფრინოს, — თქვა გივიძ.

— ძალიან დიღია, დიტო? — შეეკითხა პეტიკო.

— დიღია, ხელმძღვანელსაც მოეწონა. წმიოდით ჩქირა, თორებმ სახელოსნოს დაკეტავენ და ვერ ნახავთ, — გააფრთხილა ამხანაგები დიტომ.

### III.

ყმაწვილები კოლონიის სახელოსნოში შევიდნენ. სახელოსნოში ბევრი ხივთი იყო: პატარა მაგიდები, სკამები, კარადები, სახლების მოდელები, ხეზე ამოქუქურთმებული სხვადასხვა სურათი და ბავშვების მიერ შეჯიბრებისათვის დამზადებული პლანერები.

— რომელია შენი პლანერი? — შესვლის თანავე იკითხა გივიძ.

— აი ეს! — დიტომ ხელი დაადგა ჭავლაზე დიდა და მოხდენილად გაეკუბულს, რომელიც პლანერების მშერივის თავში იდგა. ყურადღებით სინჯავდნენ გივი და პეტიკო. ძალიან მოეწონათ. დიტომ პლანერის პროექტერი მომართა და ხელი გაუშა.

— დროული! — გაისმა პროექტერის ხმა.

— უშა! როგორ გაფრინდება! — წამოიძახა პეტიკომ.

— ენახოთ რას იზამს, — ამბობდა დიტო. ყმაწვილები სხვა ნამუშევრების დათვალიერებას შეუდგნენ.

— ეს რა კარგი სახლია! — იძახდა პეტიკო და ათვალიერებდა სახლის პატარა მოდელს.

— დიტო, ეს შენ გააკითხ? — ჰეკითხა გივი და ხელი დაადო ხის ჩუქურთმას.

— კი, მე გავაკეთო.

ძალიან გაერთვენ ნამუშევრების დათვალიერებაში დიდხანს დარჩენენ სახელოსნოში. შემდეგ გარეთ გამოვიდნენ, სახლოსნოს კიბეზე ჩამოსხდნენ და მომავალ



და პატარა სახლების მოდელებს, სკამებს, მაგიდებს, აჩუქურთმებდა ხეზე სხვადასხვა სურათს.

ბავშვთა კოლონიამ შეჯიბრებაში გამოიწვია მეორე სკოლა, ეჯიბრებოდნენ საუკეთესო პლანერის მომზადებაში.

დატო ცდილობდა რაც შეიძლებოდა საუკეთესო პლანერი გაეკეთებდა. მიზანს საც მიიღწია, პლანერი მოიწონა სახლოსნოს ოსტატმა. დიტოს სიხარულს საზღვარი არ ჰერნდა.

მეორე დღეს, მეცადინების დასრულების შემდეგ, დიტო გაიქცა თავისი მეგობრებთან, რომ სიხარული გაეზიარებია.

— გივი! წამოდი, ნახე ჩემი გაეკეთებული პლანერი. დიდი პლანერი გავაკეთო, კარგი, ჩენ ოსტატსაც მოეწონა. მალე შეჯიბრება იქნება და უნდა გავაფრინო! — კარებიდან გვიმართა მიაძახა დიტომ ამხანაგს.

— მართლა? — მეცა მინდა გავაკეთო პლანერი, ვნახავ შენს პლანერს. პეტიკოც აკეთებს. საქალაქო შეჯიბრებაში ჩენი რაზმიც უნდა გამოვიდეს. ვემზადებით, წამოდი, პეტიკოც წავიყვანოთ, — უთხრა გივიძ. წავიდნენ პეტიკოსთან.

პეტიკო პლანერის კეთებაში იყო გართული. როდესაც ამხანაგები თავს წაადგნენ, მათი მისვლა ვერ გაიგო. გატაცებული მუშაობდა, ფრთებს უკოდება პლანერს. ამხანაგები გას ფეხსკრეფით მიეპარენ და ორივეშ ერთად „ვეჲ! „ვეჲ! „ვეჲ! — შესძახა. პეტიკო შეკრთა.

შეჯიბრებაზე საუბრობდნენ, კარგახნის დაღამებული იყო, როცა ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

#### IV

დიტო დასაძინებელ ოთახში შევიდა. ბაჟევები დასაწოლად ემზადებოდნენ. მას არ ეძინებოდა, მაგრამ მაინც ჩაწვა ლოგიში. იგი ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა. ხვალ შეჯიბრებამ. ცდილობს როგორმე დაიძინოს, მაგრამ ამაღდ. თვალშინ ხან თავისი პლანერი უდგას, ხან კი შეჯიბრების მოედანი და ესმის პლანერის გაფრენის ხმა.

არ ეძინება. ლოგინზე წამოჯდა. ოთახში ყველას სძინავს. „როგორ სძინავთ ამხანგებს, რათ არ ფიქრობენ ხვალინდელ შეჯიბრებაზე?“ — წაილაპარაკა და ისევ წაძორვა.

თითქო ჩაეძინა, მაგრამ თავი ისევ სახელისნოში ამოქმო. სახელოსნომ კიდევ უფრო შორს გასწია დიტოს გონება, და მოგონების ძაფი გაიბა. მოაგონდა ბიჭუნს ზამთრის სუსხიანი დღე. თოვდა, დედამიწა თეორიად იმოსებოდა. ელნათურების შეუქმედობა, თოვლის წვრილი ფიტნები როგორ ეშვებოდა ძირს. ხანდახან დასავლეთის ქარიც უბერავდა, და თოვლის ფიტნები ტრიალებდა ჰაერში.

იგი ქუჩის კუთხეში იდგა, მოუნტული იყო. ცდილობდა გამაგრებოდა სიცივეს, მაგრამ თავს ვერ იმპარებდა და სიცივისაგან ცაცუახდა. მის წინ დიდი შეხობა იყო აღმრთული, მოჩანდა განათებული თოახები. ამ შენობიდან ქრიამულით გამოვიდნენ ყმაწვილები. დიტო გულდაწვეტილი მისწერებოდა მხიარულად მოძავალ ბავშვებს. ჩქარი ხაბიჯით უაბლოვდებოდნენ მას გოი და პეტიკო. — „ნეტავი ამათ რა კარგად და თბილად აცვიათ“ — შენატრა პათ დიტომ. ისინი დიტოსთან შეჩერდნენ. ასე გაეცნო დიტო გივისა და ჟეტიკოს.

ეს იყო უკანასკნელი ღამე ცივ ქუჩაში. დიტო მოიკუნტა ლოგინში, თითქო ახლაც სციოდა. კარგახნის კიდევ იყო

მოგონებებში ბიჭუნა. გვიან, როგორც იქნა, ჩაეძინა. დილით აღრე წამტკიცებულენ ყმაწვილები. დიტოს კი ეძინა. შისი მოგონებები სიზმარში გადავიდა.

სიზმარში დიტომ სოფელი ხახა. ხახა გარდაცვლილი მშობლები. ბიძა, რომელიც ხშირად უჯავრდებოდა, ახლა ტებილად ელაპარაკება:

— კიდევ გაიქცევი, ბიქო, ქალაქში? — ეკითხება ბიძა.

დიტო ყველას ხვალინდელ შეჯიბრებაზე ელაპარაკება. დედა მას თავზე ხელს უსვამს და ეალერსება.

— დედი! ხვალ შეჯიბრებაა, მე კარგი პლანერი მაქს, ხახე! ხვალ უნდა გავაურინო! — ხმამაღლა წიმოიძახა დიტომ.

— დიტო, ვის ელაპარაკები? — სიცილით ეკითხებიან ამხანაგები, რომლებიც გასაღვიძებლად შემოვიდნენ დიტოსთან.

— დედას! — უპასუხა მან და თვალი გახილა. შერცხვა: მიხედა, რომ სიზმარში ყოვილა.

#### V

ქალაქების მინდონში, საღაც უნდა გაიმართოს პატარა პლანერისტების შეჯიბრება, ბევრ ხალხს მოუყრია თავი.

ჯგუფ-ჯგუფად მოდინ იქტომბრელთა და პიონერთა რაზმები და მოაქვთ პლანერები. ყველას ხახე უბრწყინავს, მიიარულებენ. ერთმანეთის პლანერებს ათვალიერებენ, ამოწმებენ, ადარებენ ერთ-მანეთს.



შეჯიბრება დაიწყო. პირველმა ჯგუფ-  
მა გაატრინა პლანერი, მეორემ, მესამემ.  
დიტო დევიდ. მისი ჯერიც მოვიდა.

— აბა მომშვიდოთ! — უთხრა ხელმძღვა-  
ნელმა სამ ოქტომბრელს. სამივენი მზა-  
დებას შეუდგნენ. დიტო მშვენიერი სანა-  
ხავი იყო; შევი ხუჭუჭი თბები თავზე ქუ-  
დივით ედგა. სახე გაბრწყინებული მქონ-  
და, ოქტომბრელის საზაფხულო ტანსაც-  
მელში იყო გამოწყობილი, გულზე ოქ-  
ტომბრელის წითელი ყველასახვევი უფრია-  
ლებდა. აღელვება ემჩნევდა. პლანერი  
ხელში აიღო. მოეჩვენა, რომ მისი პლა-  
ნერი არ ვარგოდა. პროპელერს დაუწყო  
ტრიალი. „ვაი! როგორ სუსტად ტრია-  
ლებს! — წაილაპარაკა თვავისთვის. ღე-  
ლავდა და აბიტომ მოეჩვენა ასე. ხელ-  
შელვანელმა შეამჩნია მღელვარება.

პლანერები მომძროებს, გასატრენად მზად  
აქვთ, ეს იან ნიშანს.

გაისძა: — ერთი! ორი! სამი!

დიტომ პლანერი გაატრინა.  
გაისძა: მოწონების სხმები: — „ბირჟო! ბი-  
კო! ხედავ? ხედავ, რა მაღლა ავიდა!“ —  
ლაპარაკობდნებს ერთმანეთში. ყველანი  
მაღლა იცქირებოდნენ.

დიტო სულგახაბული მისჩერებოდა  
თავის პლანერს. აი, უმაღლეს წერტილს  
მიაღწია და ძირს დაშვება დაიწყო.

გაისძა ტაში და შეძახილები: „ყოჩა,  
ბიქო, ყოჩალ, ბიქო!“

დიტო მიწაზე დაშვებული პლანერი-  
საკენ გაიქცა.

შეჯიბრება დამთავრდა. საქალაქო შე-  
ჯიბრებაში დიტომ გაიმარჯვა.

## VI

გვიდა დრო.

დიტო ენერგიულად მეტადინეობდა.  
მის ოცნებად გადაიქცა მფრინავი გამო-  
სულიყო. ფრიადებზე მეტადინეობდა.  
არც თავის სუვარეულ მომავალ პროფე-  
სისათვის მუშაობას ივიწყებდა: გულ-  
მოდგინედ მუშაობდა სახელოსნოში, ამ-  
ზადებდა თვითმფრინავების ნაირ-ნაირ  
მოდელებს, პლანერებს და სხვა.

პლანერისტების საკუშირო შეჯიბრე-  
ბაზე წასულ დიტოსახან გივიმ და პეტრი-  
კომ შემდეგი შინაარსის წერილი მიიღეს:  
„ძალიან გახარებული ვარ. ვერ ვითმენ,  
რომ არ გავიზიაროთ ჩემი სიხარული:  
შეჯიბრებაში გავიმარჯვე. მალე გნანავთ.  
ჩვენი ჯგუფი ერთ კვირას კადევ დარჩე-  
ბა მოსკოვში. ვათვალიერებთ ქალაქის  
შესანიშნავსანახაობებს... თქვენი დიტო...“

## 3. პანიზოლი

### ხელით ღამის არავი

ერთხელ ერთმა მონადირემ ცუცხალი არ-  
წიფი მოიყვანა და განატადა — ხელით დავიქი-  
რეთ.

— უმ, კაცო, გაიგეთ, სიკოს არწივი და-  
უქრია ხელით! — დაუწევთ დაძიხა ერთმა და  
ისეთი ხარხარი ატყდა, რომ ყურთისმენი აღარ  
იყო.

— არა, ხელით კი არ დაუქრია, რომ და-  
ინია ცაში მონაგრძელებული ფრინველი, ვაქრდა სი-  
კო, განერა ლოუბი და „უუ“ — შექრო სული  
არწივეს... ისიც ტყვიასაეთ დავარდა. უცა სიკო  
და წიმოუყნია! — გაძიხოდა მეორე.

— არა, რა ტყვიალის გულები არიან ეს  
მონადირები! ხელით დაქრია არწივის? ისემც  
რა გითხრო! სიკო გამრაზდა და თქვა:

— გეუბნებით, ხელით დავიქირე შეთქი, მე

დავიქირე ცეცხლით, რომ ეს ასეა, ოლონდ დავნაძ-  
ლევდთ: თუ მე ვიყო მართალი, ას მანეთი  
მოძებით, თუ არა და მე ვიხდო ას მანეთს.

დანაძლევდნენ. არწივი თავი მოქურეს, ფრთხი-  
ლად გამუტეს, და არსად კანი დაშიანბული  
არ ჰქონდა. გოცდნენ, მაშინ სიკომ უცხსნა მათ-

— არწივი პლანერიებთ ფრინვეს. ვაკე  
დაგილებიდან აფრინა მისიერის ძნელია: ის გრა-  
ჩავიდან, მაღლობიდან ჯერ ძირს დაუშება  
ცოტათი და შერე მაღლა შეინავრდებას. რო-  
დესაც ვაკე დაგილის ჩატრინდება, შერე მობლ-  
ვით დადის, მორცეს ექცეს, რომ იმაზე შედ-  
გეს და ისე აფრინდეს. თუ ვაკე ადგილის მა-  
ძლარს მოასწირო, ის ბორცვისაექნ წამობლდება.  
უნდა ეცადო არ მისცე ბორცვზე ასვლის სა-  
შეალება და მაშინ ხელითაც დაიქცერ.

## 3. თაბუაზილი

ო ძ რ ი მ ა ნ ი ს ი ლ ი

## მჩაღობელი შაშვის საჩივაჩი

ჩემი სამშობლო მთელი მსოფლიო, გარდა იმ ქუცანებისა, სადაც ზამთარ-ზაფხულს თოვლი და ყინული იცის. არც მაღალი მთები და მყინვარები მიყვარს. მთაში აბა რა მინდა? ზაფხულობით იქ ჭიდა პეპლები არაა და ზამთარობით ხომ ცივი წყლისა და ყინულის მეტს იქ ვერაფერს წააწყდები. თანაც კლდეები სავსეა ჩემი მტრებით: ალალით, მიმინოთი, შეკვრცნითა და არწივებით.

ბარში კი ნამდვილი ჩემი საქმეა. დათბება თუ არა მარტში, მრნდორში და ბურდებს ქვეშ იფურჩქნება ყვავილები. ხებილი დაიკურტება და აქა-იქ გაჩნდება ბუზ-პეპლებიც. მაღლე აყვავდება ტყეელიც. მართალია, საკენის შოვნა კირს, მაგრამ უხვი ბუნება ბარისა პირელ მოსავლამდე ისე არხენიად მიმატანებიებს, რომ არაფრის ჯავრი არა მაქეს. ბაღახი რომ ამწვანდება, ერთს კეირაში მარწყვი მზადა. გამოვალ ჩემი მფარველი ბულიდან, და ვსკუპდები მარწყვიან ვილზე, ვხტივარ, ვთამაშობ და შევექცევ. მარწყვს მწარე ბაღი მოსდევს. მთელ ტყეში არა ისეთი ბაღი, რომელიც მე მისი აყვავების დღიდან არ ვიცოდე.

ბლის ხეები, თეთრი ყვაველით ტყეს წვერებზე ამოკიაფებული, ბაბბის კუნძულებივით მოჩანს. შაშინდლიდან ვიხსომებ იმ ხეებს და, შეზვალდება თუ არა, მოილევა თუ არა მარწყვი მინდორში, ბაღს ვესტუმრები.

ერთი იცის მხოლოდ ბაღ მა ცუდი: საღმე ახლოს უთუოდ ქორი ბულობს. ხანდახან ისე მოულოდნელად დაქროლებს და აწიველდება, რომ, თუ გადავურჩი, იძულებული ვხდები ისარივით დავეშვე მიწისაკენ და ჰყორის ძეგვებში დავიძოლო. ბაღს მეორე ცუდი ზეცა სჭრს: მწიფობის დროს გლეხები მოდიან, კანს ატყავებენ, რომ შემოდგომაზე ჭურები დარეცხონ, და გვაფრთხობენ, თუმცა უთოფოდ ვერას გვკლებენ.

ბაღი პირველი ისეთი ხილია, რომელსაც გულუხვი მასპინძლობა უყვარს. გადაშლის ფოთლებს, დაგსვამს პატარა ტოტზე, გაწვდის დახუნძულ ლალისფერ ნაყოფს და უსასლეროდ გეპატიება:

— მიირთვი, კანკე, გამავს ჩინჩახვი და შინაც წაუღე ბარტყებსათ! როცა კარგი და უხვი საკედები მაქეს, გუნდებაზედაც კარგადა ვარ. დილით, ალიონზე ნასაუზმები, შტოზე შემოვჯდები და ნელ-ნელა შევუდგები სტვენა. ჩემი სტვენას ადმინისტრაცია დაარქევს. ხშირად, ძლიერ ხშირად მინახავს ადამიანი გზის პირად ჩამჯდარი და სმენად გადაქცეულ. მე ეშმაკობას ეხმარობ: თანა ვსტვენ და თანაც მიერერები-





ვარ გარინდულსა და სმენად გადაქცეულ  
აღამიანს. თუ შევატყე, რომ სტვენა მოს-  
წონს, ვთამამდები, ხმას ვუწევ, ახალ-ახალ  
ჰანგს დავდახებ და მოძახილს ვეუპნები  
მახლობელ ბუჩქში მჯდომ მეორე შაშვს.  
ბოლოს აღამიანს მეტი დრო აღარ აქვს,  
წამოდგება ზა ერთს კი იტყვის:

— დაილოცოს შენ ნისკარტი, დალო-  
ცილო ფრინველო. შენ პირს შაქარი!

არასოდეს არ მინახავს და არ მიკენკია  
შაქარი, ნეტავ რომელი ხე ისხამი? იქნებ  
მწარე ბალივით გემრიელია, იქნებ უსურ-  
ვაზის კურკესავით საამო საკენკია. მავრამ  
შე კი მისი არა ვიცი რა.

ეს იცის მხოლოდ აღამიანმა ცუდი, რომ,  
ბუდეს თუ დაიგულებს, უთუოდ ბარტ-  
ყებს მომტაცებს და გალიაში დამიშვე-  
დევს. მერე გალიას თავის დერეფანში ჰკი-  
დებს და ჩემი შეილები, დატყვევებულნი,  
მავთულის ხლართში შეპყრობილნი, გულ-  
საკლავად გალობენ. და რაღა გალობაა  
ტყველბაში? ის გალობა სავსეა სევდით,  
წუხილით, ჩივილით ტყესა და მინცვრის  
ლამაზ, ლაღ და თავისუფალ ცხოვრებაზე.

აღამიანი ცდილობს საკენკი არ მოა-  
ლოს მათ, შეგ გალიაში წყალიც უდეგი  
მავრამ ასა ერთი მითხარით — სად აღამია-  
ნისგან მოკრეფილი და მოტანილი ხილი  
და სად საკუთარი ნისკარტით გამორჩე-  
ული მწიფე ბალი და თუთა! ხშირად  
აღამიანებმა არც კი იციან რა აქმონ  
დატყვევებულ შაშვებს.

ტყველბაში, შებოჭილ და შეკრულ  
სიცოცხლეში გალობა სისულელეა, აღა-  
მიანებმაც კარგად იციან ეს და ჩენებს სა-  
სმენად ტყე მი მოდიან. მოვიდნენ, გვისმი-  
ნონ, რამდენიც უნდათ, დასტენენ, ჩენ  
მათ ხელს არ შევუშლით, ოლონდაც ბუ-  
დეს ნუ დაგვინგრევენ და ბავშვები შურ-  
დულით ქვას ნუ გვესვრიან.

აღამიანები ხომ ბულბულს არ ერჩიან.  
ამიტომაცაა, რომ ბულბულები ბაღებში  
ბუდობენ და ფანჯარასთან გადაშვერილ  
შტოზე მთელი ღამე ტია-ტიას დასახიან.  
ჩენ კი ბედი არა გვწყალობს. ჩენი  
სტვენა ხშირად ბულბულის სტვენაზე სა-

ამთა. გაბედულადაც რომ ვთქვათ, ხანდა-  
ხან ბულბულები ვერც კი შეკვედრებიან,  
განსაკუთრებით მაშინ, როცა ნაწვიმარზე  
დილით ტყეს მოვედებით და ხმაშეწყო-  
ბილად ერთად დავძიხებთ ამწვანებული  
მთა და ბარის საგალობელ და სადიდებელ  
გალობას. მაშინ ბულბულები თვითონ ჩენ  
გვისმინნ. იქნება მე ვატყუი? მაშინ ინე-  
ბეთ და, როცა შემთხვევა გქონდეთ, გა-  
მოიარეთ ტყეში დილით, მზის ამოსვლამ-  
დე, და მოვგვისმიხეთ. ჩენი ნაკლი მხო-  
ლოდ ისაა, რომ ბულბულიც არა  
გვაქვს ჩვეულება მზის ჩასვლის შემდეგ  
ჭიკჭიისა. მშრომელი აღამიანივით დი-  
ლით აღრე ვდგებით. საზრდოს ვშოუ-  
ლობთ და ვგალობთ, ხაშუალებს კი  
ჩენს ბულებს მივაშერებთ და ვიძინებთ,  
თუ მტერმა დაგვაძინა. როგორც ვთქვი,  
მტერმიცა გვყვს და მოყვარენიც. ნა-  
დირსა და მტაცებელ ფრინველზე არა-  
უყრის ვამბობ. იმათ ქეუა არ მოკითხება.  
მაგალითად: რა სინდისი უნდა მოსთხო-  
ვო მელისა? მას ხომ გალობისა არა-  
ური ესმის, ან რა ეძრახვის ქორსა და  
ალალსა, რომელთაც გალობას თავიანთი  
წიგილი ან ყვავის ტრაბახა ყვანჩალი  
ურჩევნიათ?

მე საქმე მაქვს აღამიანებთან, რომელ-  
თაც ბურიც აქვთ, ქათმისა და ღორისხორ-  
ციცა და ჩენზედაც ნადირობენ, განსა-  
კუთრებით შემოდგომაზე, როცა მინ-  
დორსა და ტყეში შემოგველევა საგზალი  
და საღმე სოფლის მახლობლად ხურმისა,  
უსურვაზესა და კუნელს ვერცვით.

უცებ იქექებს თოფი, და აღამიანი გვი-  
სობს სიცოცხლეს, რომელიც მას ჩენ-  
თვის არ მოუცია. მერე ჩენს ერთი ლუკ-  
მის ოდენა ხელულს პუტავებ და წვავენ

ცუცქლზე, ახრაშენებენ. მეორე წუთს კი  
ისევ მშევრები არიან, რაღაც შაშვი რაა,  
რომ იმან ადამიანი გააძლოს?

ძნელი და საშიშია სიკედილი, მაგრამ  
რა გაეწყობა. ბუნების კანონი ასე ყოფილა  
სიკედილს ვინ ჩივა. საქმე გამწარება  
და უბედურება, რაც ხშირად თავს  
დაუვატყდება, ხოლმე ბარტყობის დროს.

შარშანაც ასეთი შემთხვევა მქონდა: გა-  
დანარჩენ წაბლის ნაყარში გავიკეთო ბუ-  
დე ზედ გზის პირად, საიდანაც სოფლის  
ხალხი წისქეობისა და ვენახებში დაიდიოდა.  
ახლა იმას არა მკითხავთ რად ამოვირჩივ  
ეს გზის პირის უბრალო მიწეხების გამო:  
გზის პირს, სადაც ადამიანი ხშირად დაი-  
არება, მსუნავი მელია და მტაცებელი  
ფრინველი ერიდება. მეც ამიტომ ამოვი-  
რჩივ ეს ადგილი.

ვფიქრობი: ადამიანი არას მერჩის, ბარ-  
ტყებს დავზრდი, ქორი და მელია კი ვერ  
მომეკარება მეთქი. მწარედ მოვტყუდი-  
ბუდემი ოთხი კვერცხი ჩავდე. გამოვჩე-  
კე ბარტყები და გამალებული შევუდექი  
იმათ გამოკებას. შეველის პარაზა გვი-  
ლა გადამეტია, ბუდე აღმომჩინა. ერთ-  
ხელ, როდესაც ბარტყებს საკენკი მოვუ-  
რანე, ფეხები ძუაში გამეხლაროა. ძლიერ-  
ძლიობით დავიხსენი თავი მახიდან გულ-  
შემხარვად ჰყლიპინებდნენ ბარტყები,  
მე კი იქვე მახლობელ ხეზე ვიჯერი, ვხტო-  
დი და მოელის ქვეყანას ვამცნობდი ჩემს  
უბედურებას, მაგრამ ამორდ. მშველელი  
არ გამოჩნდა. გიგლა კი საჩაროდ მოვი-  
და, ჩემი ბარტყებიანი ბუდე აიღო და  
შინის, ენ გააქანა.

რომ იცოდეთ, როგორ ჰყლიპინებდნენ

ის საცოდავები! მივფრინდა შეველის საბ-  
ლამდე. ბარტყები გალიაში ჩაძის ცის ტერიტორია  
ლო როკა ჩემშა ჭანჭახმა იმ გიგლას თა-  
ვი მოაძეზა, ბურდში, სადაც თავს ვაფა-  
რებდი, სქელი ბელტი მესროლა და ძლიერ  
გადავრჩი.

ასე გამამწარა ადამიანმა, რომელსაც  
ყველაზე უფრო მოსწონს ჩემი გალობა  
და რომელიც ყველაზე უფრო მეტი ქო-  
მაგი და მფარველი უნდა იყოს ჩემი.

ამის შემდეგ ჩუმად მივდიოდი მევე-  
ლის ეზოში. იქვე თხილის ბუჩქში ვადე-  
ბოდი და ვუსმენდი შეიღების მოთქმას.  
მეც მოვთქვამდი, ვკეითევითებდი გაუბე-  
დურებული დედა, მაგრამ უბედურებას  
უბედურება დაემატა: რაც კაცმა ვერ და-  
აკლო ჩემს შეიღებს, ის აკოვალა კატა მოათავა.

გალიას მიეპარა, კარი ჭანგით გამო-  
ალო და საწყალი ტყევები ერთ წამში  
დაკლა და გადასანსლა. ამის შემდეგ იმ  
არემარედან გადავიკარგე, შორს გავფრინ-  
დი. ერთ ბუჩქს შევაფარე თავი და დიდ-  
ხას მწარედ მოვთქვამდი.

ობ, ადამიანებო, ადამიანებო! რა კარგი  
მეგრბრები ვიქნებოდით ჩენ, რომ თქვენ  
ჩემი მფარველი იყოთ, როგორც ბულ-  
ბულიოსა!

ყოველ დილით მოგასმენინებდით სა-  
ამურს გალობას და დავატყებობდი თქვენს  
სმენას, ახლა კი, ახლა კი... მე თქვენი  
მეშინია და, როცა დაგიხსავთ, ახ შორს  
გავურინდები, ახ ბუჩქებში ვიმალები ისე,  
რომ ჩემს მშვენიერ ოქროსტერ ნისკარ-  
ტსა და ფეხებს არ გიჩვენებთ. მეშინია,  
მეშინია, თქვენი!

პ. ჩხეიძე



# ტერილი გერუას მმი

ბაბუ!

აი გაზაფხული  
აყვავილებს, ქარგავს ქალაქს;  
ალბათ, სოფლიად მიწა ხნულით  
ისაზება კელდაკვალა.  
ალბათ, გახსნეს შეზობლებმა  
საზაფხულოდ მინის ჯარი.  
ალბათ ველში დაბუღრაობს  
კოლექტივის რეინის ხარი!  
ისე ხშირად ვფიქრობ შენზე,  
თითქოს გხედავ აქედანა,  
ბალში დგახარ შეხებურად  
ატრიალებ სამყნობ დახას.  
სოფლიად იხლა არ არიან  
ჩათვლებილი ან დამსხვარი,  
ამყნი გულაბს, — ისევ ის ხარ,  
ძველი მტერი პანტა მსხალის.  
ბაბუ, იცი? დიდ ზამთარში  
როცა ფიფქებს ზეცა ფანტავს,  
მოაქვთ აქაც მაშინ მსხალი  
და ჟყვირიან:

— პანტა, პანტა!

ძლიერ ვკიყვარს ამხანაგებს  
პანტა,  
მაგრამ ვშიშობთ თანაც,  
რომ ის ველარ გადურჩება

ჩემ ბაბუას სამყნობ დანას.  
და თუ მართლა ასე მოხდეს,  
თუ არ გვექნეს პანტა ხვალაც,  
როგორც გნებავთ...  
მხოლოდ მაშინ  
შეგვიცალე გულაბ მსხალიად.  
ჩემი ბაბუ,  
მალე გნახავ,  
(სიზმრადა მაქეს შენი კოცნა)  
მე წელს კიდევ გადავდივარ  
შემდეგ კლასში ჭრიადოსნად.  
გაკვეთილებს დროშე ვასწრებ,  
სკოლის ხარს არ ვკვიახდები,  
ვბეჭითობ და...  
ფრ. ფრ. ფრ. ფრ. ფრ... —  
მოტრინავენ ფრიადები.  
მე წელს ბევრი გავაკეთე,  
ვისწავლე და ვხარავ ქარტებს.  
ისეთ ნიშებს ჩამოვიტან,  
ბაბუ, ერთობ გაგეხარდეს.  
მეტყველ:  
— ვარგა ეგ ნიშნები  
და ბიქობაც მნიდ იცნობა!“  
მერქ, ბაბუ, შენზე იყოს  
ხეხილი და მასპინძლობა.

ირ. აბაშიძე

## უაკამო ცოდეახარი

ერთ სოფელში ცხოვრობდა ცოლქმარი. ქმარი—ბრიყვი, ცოლი—უგხური. მათ ჰყავდათ ერთი ძროხა, სახელიად ქარმელა. ერთხელ ქარმელა საღამოს შინ არ დაბრუნდა. ცოლმა ქმარი ძროხის საძებნელად გაგზავნა. ბრიყვმა ასლომახლო მიიარიანა, მაგრამ რომ ვერ იძოვნა, ძებნა მოსწონდა და შინ დაბრუნდა.

— ბევრი ვიარე, ბევრი ვეძებე, არ დამიტოვებია დაუვლელი არც მთა, არც ტყე, არც ხეები, მაგრამ ჩვენი ქარმელა ვეოსად ვერ ვიპოვნე, — უთხრა ქმარშა ცოლს. — ახორ ერთი დიდებული აზრი მომიტება: წავიყვან ხბოს და ტყის პირას დავაბამ. ხბო რომ ბოავის დაიწყებს, დედ გაიგონებს, შმაზე იცნობს და მასთან მოვა.

ცოლს ქმრის აზრი ძალიან მოეწონა,

— გენაცვალე მაგ ქუუში, ეგ რა კარ-  
გი რამ მოიგონე! მხელი თვე რომ მეფი-  
ქრა, ამის მსგავსს მე ვერაუერს მოვიგო-  
ნებდი! აბა, ჩემი წაიყვანე ჩბო.

ქმარმა ხბო მართლაც წაიყვანა და ტყის  
ნაპირას თოკით ხეზე მიაბა. ხბოს მაღა-  
ლი ბლავილი მგელმა გაიგონა, ტყიდან  
გამოვარდა და შეტაბა.

მეორე დილას ცოლ-ქმარი ხბოს დასა-  
ხედავად წავიდა, მაგრამ იქ, საღაც ხბო  
ება, თოკისა და ძვლების მეტი არაუერი  
იყო. მიხედნენ, რომ მათი ხბო მგელს  
შეეჭია. არ იამათ, მაგრამ რას იზმდნენ,  
შეარედ დალონებული შინ დაბრუნდნენ.

საღამოს ჯრმელა შინ დაბრუნდა. ბრიყვ-  
მა რომ ეზოში მომავალი ძროხა დაინა-  
ხა, ნიშნის მოგებით მიაძახა:



— იცი, კარმელ, შენ არ მოხვედი და  
ქვეკამა შენი ხბო მგელმა!

### იასონ ნიკოლაიშვილი



განაეხულდა, მზის სხივებმა  
ირგვლივ მოები გადაკოცნა  
და ზამთრისება მონაბერი  
ქარი, ყინვა შორს გატყორცნა.

აბიბინდა მწვანე ველი,  
თვალს იტაცებს ვრცელი მდელო,  
მოირთო და გაიფურჩქნა  
ხუთმეტი წლის საქართველო.

ბაღში ხილი კეირტებს ისხამს,  
თავმომწონედ ია ვარდობს,

და ოდნავი ნელი ქარი  
ხის ფოთლებში დანავარდობს.

აგრ შევანე ბუჩქის ძირას  
იადონი ტკბილად გალობს  
და ბედნიერ ჩვენს თაობას  
ტკბილ სიმღერის უხვად სწყალობს.

ხავერდივით იღიმება  
მინდორი და მთაგრეხილი,  
და ჩვეს ბაღში კვირტებს ისხამს  
ლიმონი და სხვა ხეხილი.

### აურასიონ ლობჯანიძე

# გ ე გ ე ტ ი

”გუ-გუ! გუ-გუ! მიჯობნია“,—  
 გაღმომძახე გუშინ დილით,  
 გარიერაერი არც კი იყო,  
 თვალზე მაღა ისევ ძილი.  
 ალბათ დღესაც კიდევ ჩქარობ  
 და დაეძებ ახალ ბუდეს,  
 რომ კვერცხები დაღი მაღვით,  
 სდარაჯობ და ღამეს უთვევ.  
 ერთი მითხარ, როგორ იტანს  
 მავ ხასიათს დედის გული,  
 შეიღებისთვის გენწება  
 ალერსი და სიყვარული!  
 თანაც გხიბლავს ეს წარმტაცი  
 გაზაფხულის ტყე და ველი,

მაგრამ მე კი რად დამნავსე, —  
 რად არღე ჩემზე ხელი?  
 რად არ გჯერა ჩემი სიტყვა,  
 გეფეცები დედას, მართლა,  
 ჩემ სიეთეს სხვებიც გეტყვის,  
 შოშის და მერცხლის გარდა...  
 ან კი რა მაქს შენთან სამტრო,  
 რას დამაკლებს შენი „გუ-გუ“?  
 ჩემ ფრიადებს რომ შეხედო,  
 გულს გაუბობს თას გუგულს.  
 ვიცი, გნიბლავს ეს წარმტაცი  
 გაზაფხულის ტყე და მთები,  
 იფრიხე და იხავარდე,  
 სანამ შეძლებს შენი ფრთები!

სანდრო ქლერი

# ქართონის შეიძლება აუგარი

ზოდი, ჩენი წერილის ხითაურს რომ წაიკითხაეს, გამცემული დარჩება და იყითხაეს: როგორ შეიძლება ილაპარაკოს ლითონისაგან დამზადებულმა ადამიანმაო?

— არა, ეს სოცტერება შეუძლებელია, წარმოუდგენელი! — იტყვან ერთინი.

— სისულელეა! — ხელაღებით იტყვიან შეორენი.

მართლაც განსაცემით გერი ამბავია! ერთი შეხედვის ქ თითქოს საჭმე გვაქს რაღაც ზღაპრულ მოვლენასთან. მაგრამ ის, რასაც ამ წერილში ამოკიფითხეთ, არა ზღაპარი. ტექნიკის განვითარების ისტორიიში აუკარებელია ისეთი გამოყონება და აღმოჩენა, რომელნიც ადამიანს ზღაპრად და შეუძლებლად ჩენვენდოდ.

თითოეული თქვენთავანი არა ერთხელ დამტკბარა პარეფენის მოსმენით, გინახავთ ხერვა-

ინჯინი, მოგისმენიათ რაღიოფაღდეოცემანი; ხშირად თვალმოუწყეტლად გიმშერიათ ცაში წერილებით გამზრივებული თვითმიტრინავებისათვის. კარგად იყით, რომ არც ერთი შათვანი ზღაპარს არ წარმოადგენს. ჩენ მათ ყველანი შევწერ და ჩეცულებრივ მოვლენად კოლით. მაგრამ ისე არ იყო წინათ, როცა, ხაგილითად, კრიმიულნი გამოიგონა ედისონში. მაშინ მოვლენა საზოგადოებაშ ედისონი კუჭახე შემუშავად გმირულად და თეოსტერიზაციის გამომკითხებელი კი კაცობრიობის დამტკბელად იღიარეს. მაგრამ თითოეულმა ბაჟშება იყის, რომ არც პატეფონი არის შემლილი ადამიანის კუჭის ნაყოფი და არც თვითმფრინავია კაცობრიობის დამტკბელი. პირიქით, დღეს მთელმა მსოფლიომ იყის, რომ ჩელუსინგლები საბჭოთა კავშირის მიმატა გმირებმა — კოლონიანოვმა,



სლეპნევმა, კამინიშა და სხვებშა — სწორედ თვით-მფრინავებით გადარჩინეს ჩრდილოეთის ყინუ-ლოვნ და მიუღალ სიტრულში დაღუცვისაგან.

კიდევ უარებელი მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ მათი დასახელება შორის წა-გვიყანს და მოლაპარაკე ლითონის ადამიანები გაუწონებელი დაგვრჩება.

**შეკვედეთ საქვეს.**

მე ვიცი, ოქენ გინტერესებთ გაიგოთ, თუ ენ გამოიგონო პირებელად ეს ლითონის მოლა-პარაკე აღამიანი. მომისმინეთ და კველაუერს გაგაუწონოთ.

გამომგონებელის სახელი არის პიერი, ხოლო გვრი — დრო. იგი შეიიცარიელია, სოფ. შო-დე-ფონიდან, პიერი ღრაბით იჯახიდნ იყო და მინტდამინუ დიდ მიდრეკილებას არ ამეღავნებ-და მექანიკის საკითხების შესწოლისადმი. მი-ტომ მშობლებმა გადაწყვიტეს პიერი კათოლი-კური ცელესის მსახურად — მღვდლად აღ-ზარდოთ.

— ძეირფასო პიერ, — მიმართავდა ხშირად გა-მა: — შეხედე ჩვენს მღვდლებს. ისინი არც თ-სავენ და არც მეგან. ისინი არც წელში მო-რიცვები სხედან სამშაოზე, და მერე რა დო-დემულად ცხოვრობენ; არა თუ პურს ჭამენ კარაქით, არამედ ღვინოსაც მიირთმევნ. ამვე დროს მთ ყველა პატივისცმით და თავაზიანად ეცურობა.

ასეთი სახებარი თითქმის ყოველდღე მეორდე-ბოდა. მშობლების მორჩილი იყო პიერი და დაქათამით სასულიერო სასწავლებელში შესუ-ლიყო. შევიდა, რამდენიმე ხნის შემდეგ სასწა-ლებელი დამათავრი და თავის მშობლიურ სო-ფერს შო-დე-ფონს დაუბრუნდა. თვით პიერს სოფელში დაბრუნებისას განზრისხე პქნდა მღვდლობა დაეწყო. საბედნიეროდ, სრულიად შეიცავა პიერის მისწრავება.

შო-დე-ფონის თითქმის ყოველი მტბოვრები ასე თუ ისე მონაწილეობას იღებდა საათის სახე-ლოსნოებში: ერთი საათის ზამბარას აეთებდა, მეორე — ციფერბლატს, მესამე — კბილნი თვეოლს, ჭანჭის, ცილინდრებს და სხვ. სამაგალითოდ იყო შრომა განაწილებული. წარმოიდგინეთ, კალაკული ნაწილების სპეციალისტებიც კი წარმო-

იშვნები. ერთი სიტყვით, მთელი სოფელი, მეტად მდგრადა მცხოვრებთა ისეთ შეკრებები დამსტყვალი წერილი რამდენიმე ათას საათს მშა-დებდა გასაყიდად.

ჭანჭარომ, კილანა თველების ნელშა მოძრა-ობდა, წუთების აღმრიცხველი ისრების რენამ, ზუსტი და წერილი მექანიკური ნაწილების ა-პატარი სამყარომ, რამლის მოთავსებაც ხელის გულშე შეიძლება, იმდენად ძალაშრთოვანა პიერ დრო, რომ მან სამუდამიღ შეწვეიტა სასული-ერი კარიერაზე, წარჩინებაზე ფიქრიც კი და საათის ხელობის შეწვევის შეუდაგ.

დრომ ელევის სისტრაგით გაიტა. პიერი შრო-მის არ ზოგადა თავისი სურვილის მისაღწევად. ბოლოს პიერ დროს წარმატებანი საათის ხე-ლობაში იმდენად გაზარდდა, რომ მის უბრა-ლო სათების ეკუთხა იღია აქმოუილებდა და დინეუ სხვა მოწინავე სელოსნების მაგალითის მიხედვით გამოგონებანი და საათის ნაწილებზე აზალ-აზალი მექანიზმების გამოყენება, რამელ-თაც თეთმოძრაობის უნარი ჰქონდათ საათის მუშაობის დროს.

პიერის კველაზე პირველი გამოგონება იყო შეკვერცი საათი ჭანჭარით, მწყემსით და ძალ-ლით. პიერ დრომ ეს თავისი გამოგონება ესპა-ნეთის დედაქალაქ მარილიში წაუდო მეცე ფერ-დინანდ მეოთხეს საწერად.

მეცე მოწევა კარის წარჩინებულნი და აგრძ-ოვე მსახურნ პიერის გამოგონების საჩერებ-ლად. გამომგონებელში ამაუშევე საათი, და რო-დესაც საათის ისარი გაუწიორებელიდა რამელიმე საათის, საათზე გამოსახული მწყემსი იმდებდა სა-ლამზრს და უსტცენდა იმდენჯერ, რამდენი სა-ათიც იყო.

მწყემსის უქცევებ იწვა ძალი და ვაშლებით სახე კალათს გუშაგობდა. პიერ დრომ კარის ერთერთ მანილონსან ქალს სოხვე კალათიდან, რამელსაც მწყემსის ძალით გუშაგობდა ვაშლი მოლელი. როცა ქალმ ვაშლი მოლო, მექანი-კურმ, ე. ი. ისევ ლითონებისგან დამზადებულ-ნა ძალობმ ნამდვილი ძალის ხმით დაწერო ყეფა და დატრიალდა. როგორც კი ქალმ ვაშ-ლი კალათში დაბრუნდა, ძალი დაწყნარდა, სრულად მიყუჩდა.

(გაგრძელება იქნება)

აღ. პოჩელავაზვილი



ଓ গুৰুত্বপূৰ্ণ

զցո՞մ յշտերս Արալուս: Ցուցովիքը և՛ և գալուքը Սամրկության հությունը. Արալում Ցուցովիքը և՛ և ապահով Սամրկության կությունը—375.

զըզած նելու մասցիք, որմ կունած առ ձա-  
ցնած, հաջու պրոցրդու հօնվերա տցունեցուն դա-  
նցր զամոցպաճա: Ցը աելու წիճանեթա՛ր ձայները  
նույնու, հոմելու նորունա նշշչամբուն նշիւնը  
եղունուցած գլխիւնուն և անունուն հուլցա-  
գանու. ցը անու 2373 ըս ուսց մոյնունցա պր-  
օնուն: աճա, Մըն մոյն ձայնընուն 375 կուզը մո-  
ւշիւնը մայն և սանունուն հուլցուն. Կունած մո-  
ւշիւնը մայն 864. աճա անուն 375

զամուհուց զըստ յէ խաղաղու Սովորու և  
անցարած Ծանրութիւն հութեցք ուղարկու մուշտիւրա  
հայութ-135. Ցերո օհաց Սովորու մուշտիւրա հայութ

თანრიგით 651 და საბოლოოდ გიცმა შეუწევა  
348.

“შეკრიბის შემდეგ მართლაც მიიღოს 2373. გაუკირდა კიალის, როგორ ამოხსნა წინასწარ გიყმა ეს ამოცანა, გულთისისანი ხომ არ არის. მართლაც და საინტერესოა, როგორ ამოხსნა წინასწარ გიყმა?”

Առաջնային գործությունը կազմության առաջնային գործությունը է:

375 - Կոօլոճ.

864 - 37050

135-3030

651 - ցոօլու

348-8030

2373.

三

კინოშემს, გარელა ცინალის

ଓମିନ୍ଦୁଶାବ୍ଦୀରେ ତା ହେଉଥିଲା ଏକ ପାଇନ୍‌ଟ୍ରେନିଂ କ୍ଲାବ୍

Հ Յ Ա Յ Թ Յ Յ Ո Վ

(၁၃၈၆)

ମେନବୁରି କ୍ଷତ୍ରଗ୍ରହଣିବ,  
ପ୍ରାଣିମରନ୍ତିଲ୍ଲିବ, ଏବଂ କର୍ମଜ୍ଞାନୀରେ;  
(ମୃଦ୍ରାଵି ମୁଖ୍ୟରେ ତଥାପିତ ଶମ୍ଭୁରେ,  
ଅରଣ୍ୟରେ କ୍ଷରିଯିବ ବ୍ୟବ୍ହରିତ ମୁରାବା)।

დაღი ჯარის პტენია,  
თბი მძვიდი და ქუცად ნელი,  
უსაფური პატრონისგან  
ხშირად ხვდება იმას წელი...  
მის ჭუბები ხშირად დაჭკო  
რეს, მძრონი და ნახშირი.  
თუ ახლაც კურ გამოიყან,—  
ეს იქნება გასძვერ.

ԱՐԵ. ՏԵԽՈԾՈՎՆԵԼՈՒ

ၬ. မနတ်စခန်းအမြောက်: - ၀၆၃၈၀၁၄၅၁

ჩვენ განვიხილეთ „ინდიანა“. ამ წიგნში  
მოთავსებულია 15 მოთხრობა. მოთხრო-  
ბების შინაარსი აღიძულია უმთავრესად  
კაპიტალისტური ქვეყნების მუშაობაზე.  
შეების ცხოვრებიდან. ისინი მოკლებული  
არიან ბავშვურ მხიარულ ცხოვრებას. ბევ-  
რი მათვანი მსხვერპლი ხდება ძველი  
ადამ-ჩეულებისა და ბურუუზიული სა-  
ხელმწიფოების მართველობისა. ამავე წი-  
გნში ზოგიერთი მოთხრობა საბჭოთა  
ბავშვის ყოფაცხოვრებასა უდებება.

ამგენ არად, „ინდიასში“ მოთავსებულ  
მოთხრობებში დაპირისპირებულია წევ-  
ნებური და კაპიტალისტური ბავშვების  
ცხოვრება.

ଓঝুৰোৰ দাল্লোন জাৰি কৰি টেজা আৰুণো।  
ହେବନ୍ତୋପ ଦିଲାଦିବ ବାଇନ୍ଦୁର୍ମୁଖୀଶୁରା ବାଚନ୍ଦ୍ରଗୋର-  
ଜାର୍ଯ୍ୟଳ ଦାଵିଦ୍ରେବୀପ ପରମାତ୍ମାର୍ଗରେବୀପ ଗାପନ୍ତାବା।  
ଏହି ମନୋତ୍ତରନନ୍ଦବେବୀପ ଶିବନାନାଥିର ଜାର୍ଯ୍ୟଳ, ମାତ୍ର-  
ହାବି ପ୍ରେଷଣ ମାଲିନୀର ଦୂରିଲଙ୍ଘା ଓ ବେଳ ତ୍ରି-  
ଦେବ ହେବନ୍ତନ୍ତେ ଦୂର ଶତାବ୍ଦେକ୍ଷଦିଲଙ୍ଘବାସ, ଜମନୀଯିର  
ବାସିନାତିର ଅନ୍ଧିବୀ।

6. 830000000. 7. 600000000, 8. 100000000, 9. 700000000,  
10. 1000000000, 11. 800000000.

ԵՐԵՎԱՆ ԹԱՂԵ

მოვდივარზ მტკიცედ, მკერდგადაშლილა,  
თითქას ფრთხობს გასხამს მაისის დიღა.  
ფართო ქუჩები, ხალხით გასილი,  
წითელ დროშების ტყეს დაუქრდილავს.  
ამჟანებულა ველი და კორდი,  
ძირს დედამ წა, მაღლა ცა ხარობს.  
გადაუშლია გულუხვად მკერდი  
ჩექნს დასატებობად დიდი საძყაროს.  
ამოუქარგავს ფერად ყვავილებს  
შპობლიურ ქვეყნის ლამაზი გული,  
ველი დღესთვის დროშებს ვიმზადებს,  
ყაუქრებით წითლად შემჯული.  
სააშურ კუთხით იღტაცებული  
მეც ვეგვები მისის დიღას;  
დღეს ყველის გულში ჩაშუქებული  
დიდი ბელადის სახელი ბრწყინავს.

ପରା ବ୍ୟକ୍ତିଗତିରେ

(ରୁକ୍ଷିଣୀରେ ୧ ଶାହୁଦା, ସମ୍ବଲପୁର ଥିଲେ, ମେଟ୍ରୋଫଲ୍ଟିକ୍)

ავილოთ მაგალითად „ინდიანა“, რო-  
მელსაც კოუნძხ წევენ, ნიგერა, იუ-  
ზიდის გლოგონა, რომელსაც ძევლი ადა-  
თის დარღვევისათვის მისი ქმარი ამა-  
ბებულით კლას.

არ მოგვეწონა „ნიგერაში“ ის, რომ მის მკლელობაზე წერია, და „შემდეგ მოყვანილია მკლელობის მიზეზი. არა სჯობდა ჯერ ყოფილიყო აღწერილი თუ რაში არ ეთანხმებოდა ნიგერას ამზა, შემდეგ კი ყოფილიყო მკლელობა აღწერილი. მოთხოვთა არ არის დაბოლოებული. რატომ არ არის ნათქვაში რა უყვეს ამზას ასეთი საშინელი მკლელობისათვის.

„ინდიაში“ მოთავსებულ მოთხრობების შინაარსი მეტად მშრალია და ვერ აძლევს იძლევ შთაბეჭდილებას, რამდენსაც ს. მთვარაძის მოთხრობა „ამბავი ივრის ხეობაში“. ამ

გაუგებარია სიტყვები: „ფანატიზმი“, „შახესი-ვახესი“ და სხვა. ამ სიტყვებს ასენა უნდა ჰქონოდა.

8. ଉନ୍ନମନପା,  
ଗନ୍ଧଶାପ.

პირველი გაცე

იღვიძეს წყნარად ბუნება,  
იღვიძეს ნელა ტყე-ველი,  
მაისის ღილას ხვდებიან  
პაშია ძეტომბრელები.

აგერ შეხედეთ ტოროლის,  
როგორ ფრინს ცაში, ფრთხიალებს,  
ბულბული ნაზი ვარდს დაჟყეუს,  
წყარო ანჯარი ჩხრიალებს.

და მეც შევხარი, ბავშვებო,  
დღეს დადგა ჩვენი აისი,  
მთელ მსოფლიოზე იუჟოქებს  
ძალა წითელი მაისი!

ଓଡାଲ୍ପି ତଥା ଉଚ୍ଚକାଳୀନ

(ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ ମହିଳା କାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ର ମଧ୍ୟ ପାତ୍ନୀ ପଦକାର୍ଯ୍ୟ)

36-267

04/10/2023  
Digitized by srujanika@gmail.com

ვაკი 50 პატ.

## 3 0 ს 3 0 ლ ი მ ა ი ს ი

აქცეულ თამარ შავერჩაშვილისა

სიტყვები გ. რუსიშვილისა

Piano.

*f*

*Solo.*

დაუს პირვენ-ტო გა-გა-სი- ა და პირ-ვერთი გა-გა-ბუ-რო,

*p*

*Tutti (გუნდი)*

წი-ოულ წი-ოულ ყვა-ვა-ლო-ბი-ო მარ-ოუ-ლო და გა-ფა-მა-ლო

*f*

*Dal Segno*: *3/2*

*Fine.*

*Dal Segno*.

დღეს მუშების დღეობაა,  
ბრწყინვალე და ღილებული,

მოღაის ბალხი, მოგურუნებს,  
ერთ დროშის ქვეშ დარაჩელი.

№ 4-ში მოთავსებული რემუსის ასია:

ორდენისანი საკართველო ზორ შილი.